სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №115

ქ. ბათუმი **29 აპრილი 2015 წელი**

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის პირველი მოადგილის მამია ბერძენიშვილის სახით და მეორე მხრივ ფიზიკური პირი გიორგი გორგილაძე პ/ნ 61008019395 (შემდგომში „მიმწოდებელი"), („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 55300000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელმა დეპარტამენტის სტუმრებს - სომხეთის რესპუბლიკიდან, მასმედიის წარმომადგენლებს (სულ 12 პიროვნება) 2015 წლის 01 მაისს უნდა გაუწიოს კვებითი მომსახურება, შემდგომში მომსახურება.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 450 (ოთხასორმოცდაათი) ლარი, რომელშიც შედის საშემოსავლო გადასახადი 20%- 90 (ოთხმოცდაათი) ლარი.

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (სასაქონლო ზედნადების) გაფორმებით.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (სასაქონლო ზედნადების) გაფორმებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებია:
ა) სოფიკო გოთუა - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
ბ) ლელა დევაძე - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
გ) ნონა მარკარიანი - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების გაწევა მოხდება მისამართზე: ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვაიო.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს სათანადო ხარისხის მომსახურება.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2.ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას)შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - ლელა დევაძე - მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 29 აპრილიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**გიორგი გორგილაძე**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #84/86	მისამართი: ქედა, სოფელი ვაიო.
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	საიდენტიფიკაციო კოდი: 61008019395
ს.ს. "თიბისი ბანკი"	სს ,,ბაზის ბანკი"
ბანკის კოდი – TBCBGE22	კოდი: CBASGE22
ა/ნ №GE62 TB79 0173 60101000 15	ანგარიში GE71BS 00 0000 0059 9364 46
თავმჯდომარის პირველი მოადგილე	ფიზიკური პირი
_____/მამია ბერძენიშვილი/ ბ. ა.	_____ /გიორგი გორგილაძე/ბ.ა.